GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

სამხრეთ კავკასია გზაგასაყარზე: „ზანგეზურის დერეფანი“ და გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივები

სამხრეთ კავკასია გზაგასაყარზე:

„ზანგეზურის დერეფანი“ და გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივები

ავტორები: სანდრო მეგრელიშვილი და ნუცა ძანძავა
18 დეკემბერი, 2023

სამხრეთ კავკასია გზაგასაყარზე: „ზანგეზურის დერეფანი“ და გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივები

მოკლე შინაარსი: აღნიშნული ნაშრომი სამხრეთ კავკასიაში ,,ზანგეზურის დერეფნის" გარშემო არსებულ რთულ დინამიკას და რეგიონის ქვეყნებს შორის გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივებს განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მიერ 2023 წლის სექტემბერში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, მთიანი ყარაბაღის საკითხი აღარ წარმოადგენს მხარეებს შორის დაპირისპირების ფუნდამენტურ მიზეზს, გრძელვადიანი მშვიდობის მისაღწევად ჯერ კიდევ რამდენიმე საკითხია გადასაწყვეტი. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემა ,,ზანგეზურის დერეფანია", რომელიც რეგიონის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ კვანძს წარმოადგენს. ნაშრომში გაანალიზებულია ,,ზანგეზურის დერეფნის" მნიშვნელობა აზერბაიჯანისთვის და ამ სატრანზიტო პროექტის პოტენციური საფრთხეები სომხეთისთვის. ვინაიდან დერეფნის საკითხი, თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, იწვევს რეგიონის სხვა მოთამაშეების, მათ შორის თურქეთის, ირანის, რუსეთისა თუ დასავლეთის დაინტერესებას, ნაშრომში ასევე განხილულია ამ აქტორების გეოპოლიტიკური ინტერესები და პოტენციური როლი კონფლიქტის გადაჭრაში. ამასთან, ,,ზანგეზურის დერეფნის“ საკითხი და რეგიონში მიმდინარე სხვა გეოპოლიტიკური პროცესები, არსებით ზეგავლენას ახდენს საქართველოზე, მათ შორის მის სატრანზიტო ფუნქციაზეც. ნაშრომში ეს თემა განხილულია რეგიონული ვაჭრობის, გეოპოლიტიკური ძალთა განაწილებისა და ,,შუა დერეფნის" პერსპექტივიდან. ნაშრომი ასკვნის, რომ კავკასიის რეგიონი მნიშვნელოვან გზაგასაყარზეა, „ზანგეზურის დერეფნის საკითხის“ გადაწყვეტა კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გრძელვადიანი მშვიდობის პერსპექტივებს.

2023 წლის 19-20 სექტემბერს, აზერბაიჯანის მიერ მთიან ყარაბაღში ჩატარებული სამხედრო ოპერაციით ბაქომ სწრაფ გამარჯვებას მიაღწია. სომხურ პოზიციებზე ეფექტური იერიშის მიტანის შემდეგ, 20 სექტემბერს, ყარაბაღელი სომხები დათანხმდნენ წამოყენებულ პირობებს, მათ შორის შეიარაღებული ძალების დაშლასა და განიარაღებაზე (რადიო თავისუფლება, 20 სექტემბერი, 2023). 28 სექტემბერს ყარაბაღის დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სამველ შაჰრამანიანმა ოფიციალურად გამოსცა ბრძანება, 2024 წლის იანვრიდან არცახის რესპუბლიკის [თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა] არსებობის შეწყვეტის შესახებ (რადიო თავისუფლება, 28 სექტემბერი, 2023). განვითარებული მოვლენების შედეგად ბაქომ დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები და მთიანი ყარაბაღი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. ნიშანდობლივია, რომ 19-20 სექტემბრის მოვლენების დროს, არსებული წნეხის მიუხედავად, სომხეთი არ

ჩაერთო (პირველი არხი, 19 სექტემბერი, 2023) საომარ მოქმედებებში. ოფიციალური ერევანი აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას (პირველი არხი, 18 აპრილი, 2023) და გამოთქვამს იმედს ურთიერთობების ნორმალიზების შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 30 წლიანი კონფლიქტის ძირეული პრობლემა – მთიანი ყარაბაღის საკითხი, აღარ წარმოადგენს დაპირისპირების ფუნდამენტურ მიზეზს, რაც რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის შესაძლებლობას აჩენს. თუმცა, ამგვარი მოცემულობა ავტომატურად არ გულისხმობს ფართო თანამშრომლობას და მხარეებს შორის კონფლიქტის საბოლოო ამოწურვას. მიუხედავად მოლაპარაკებების არაერთი რაუნდისა, მხარეებს შორის კვლავაც არ დადებულა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთობების საბოლოო ნორმალიზებას. ამ დრომდე ჩაკეტილია საზღვრები ერთი მხრივ - სომხეთსა და აზერბაიჯანს, და მეორე მხრივ - სომხეთსა და თურქეთს შორის. გადაუჭრელია არაერთი პრობლემა, მათ შორის საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის, და მთიანი ყარაბაღიდან დევნილი სომხების საკუთარ სახლებში დაბრუნებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები. ამ ეტაპამდე მიმდინარეობს რეგიონის ახალი წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი, რომელშიც ქვეყნებს შორის დამაკავშირებელ სატრანზიტო არხებს ცენტრალური მნიშვნელობა აქვს. ამ კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და სადავო თემა ეგრეთ წოდებული ,,ზანგეზურის დერეფანია", რომელიც რეგიონის ერთ-ერთ ცენტრალურ გეოპოლიტიკურ კვანძს წარმოადგენს. „ზანგეზურის დერეფანთან" დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს მომავალი – ხელი შეუწყოს გრძელვადიან მშვიდობას ან გააძლიეროს დაძაბულობა მეზობელ ქვეყნებს შორის.

ზანგეზურის დერეფანი – მიმოხილვა

,,ზანგეზურის დერეფანი" აზერბაიჯანის მიერ წამოყენებული პოტენციური სატრანსპორტო მარშრუტია, რომელმაც სომხეთის სამხრეთ რეგიონის - სიუნიქის გავლით, ბაქო მის ექსკლავს – ნახიჩევანს სახმელეთო გზით უნდა დაუკავშიროს. ზოგადად, დავის საგანს წარმოადგენს თავად ტერმინიც, რომელიც, ილჰამ ალიევის თქმით, (Jam News, 11 ნოემბერი, 2023) სწორედ მან დაამკვიდრა გეოპოლიტიკურ ლექსიკონში. განვლილი საუკუნეების განმავლობაში, რეგიონს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ის ხან სიუნიქად ხან კი ზანგეზურად მოიხსენიებოდა. ტერმინ ,,ზანგეზურის დერეფნის" შემოტანით (ნაცვლად, სიუნიქის დერეფნისა), ბაქო ცდილობს მინიშნება გააკეთოს, რომ ეს ისტორიულად აზერბაიჯანული ტერიტორიაა და ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე, აზერბაიჯანს მასზე ლეგიტიმური პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს. 2023 წელს ეროვნულ მედიასთან გამართულ პრესკონფერენციაზე ალიევის მიერ გაკეთებული განცხადებით, ,,ზანგეზურის დერეფანი" უბრალო ეკონომიკურ და სატრანსპორტო პროექტზე მეტია – ეს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია,

რომლის განხორციელებაც აზერბაიჯანის „ბუნებრივი უფლებაა“ (Official Website of the President of Azerbaijan, 2023) .

საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა 2020 წელს, კონფლიქტის მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის დეკლარაციის (Official Website of the Prime Minister of Armenia, 10 ნოემბერი, 2023) ხელმოწერის შემდეგ შეიძინა. შეთანხმების მეცხრე პუნქტი სომხეთს ნახიჩევანსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ტვირთის, ტრანსპორტისა და ადამიანების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას ავალდებულებს:

> „რეგიონში ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი გაიხსნება. სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონებსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის სატრანსპორტო კომუნიკაციის უსაფრთხოებას, რათა შესაძლებელი იყოს ორივე მიმართულებით მოქალაქეების, მანქანებისა და ტვირთების შეუფერხებელი გადაადგილება. სატრანსპორტო კომუნიკაციაზე კონტროლს რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ორგანოები განახორციელებენ“.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებაში უშუალოდ „დერეფანი“ ნახსენები არაა, აზერბაიჯანის მხარეს მიაჩნია, რომ დეკლარაციის ეს პუნქტი ,,ზანგეზურის დერეფნის” გახსნას გულისხმობს (Kucera, 2023). ბაქო აქტიურად მოუწოდებს ერევანს, შეთანხმების შესაბამისად, დათანხმდეს წინადადებას და ხელი შეუწყოს მაგისტრალის გახსნას. ბაქოდან ასევე არაერთხელ გაიჟღერა მუქარის შემცველმა განცხადებებმა: „ჩვენ გავხსნით „ზანგეზურის დერეფანს” სომხეთის სურვილის მიუხედავად … თუ სომხეთს სურს, ჩვენ ამ საკითხს მარტივად გადავჭრით, თუ არა – ამას ძალის გამოყენებით გავაკეთებთ”(Avetisyan, 2021).

სომხეთი, თავის მხრივ, საზღვრების გახსნის წინააღმდეგი არაა. მეტიც, 30 წლიანი იზოლაციის შემდეგ, მის სასიცოცხლო ინტერესებში შედის როგორც აზერბაიჯანთან, ისე თურქეთთან საზღვრების გახსნა. 2023 წლის ოქტომბერში, თბილისში გამართულ ,,აბრეშუმის გზის ფორუმზე” სომხეთის პრემიერმა, ნიკოლ ფაშინიანმა სომხეთის ინიციატივა ,,მშვიდობის გზაჯვარედინი” (Barseghyan, 2023) წარადგინა, რომელიც სამანქანო გზების, რკინიგზის ხაზებისა და გაზსადენების აღდგენას და სომხეთ-აზერბაიჯან-თურქეთს შორის ჩაკეტილი საზღვრების გახსნას გულისხმობს.

ამის პარალელურად, ერევანი გამოკვეთილად ეწინააღმდეგება ,,ზანგეზურის დერეფნის” პროექტს. წამოყენებული პროექტის ზუსტი დეტალები საყოველთაოდ ცნობილი არ არის, თუმცა, გაკეთებული განცხადებებისა და არსებული პოზიციების შესაბამისად, ჩანს, რომ ის სომხეთს მეტად არახელსაყრელ პოზიციაში აყენებს. სავარაუდოდ, განხორციელების შემთხვევაში ,,ზანგეზურის დერეფანი” ე.წ. ექსტრატერიტორიული ერთეული იქნება, რომელზეც სომხეთი დაკარგავს ექსკლუზიურ კონტროლსა და სუვერენიტეტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ერევანს აღარ ექნება საზღვრის დაკეტვის უფლება.

ამასთან, კითხვის ნიშნის ქვეშ არის ირანთან არსებული საზღვრის საკითხი. დღევანდელი მოცემულობით, სომხეთი ირანს სწორედ სიუნიქის (იგივე ზანგეზურის) ვიწრო რეგიონით ესაზღვრება. შესაძლოა, რომ სიუნიქის რეგიონზე სუვერენული უფლების დაკარგვის შემთხვევაში, სომხეთმა ასევე დაკარგოს პირდაპირი საზღვარი ირანთან, რომელიც რეგიონში სომხეთის ერთ-ერთი მოკავშირე და სავაჭრო პარტნიორია. მასთან დამაკავშირებელი პირდაპირი საზღვრის დაკარგვა ერევნისთვის დამაზიანებელი იქნება. გრძელვადიან პერსპექტივაში, სიუნიქის რეგიონზე კონტროლის დაკარგვა სომხეთს, შესაძლოა, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაკარგვად დაუჯდეს.

რეგიონული და გლობალური მოთამაშეები

,,ზანგეზურის დერეფნის" საკითხი, თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეგიონის სხვა აქტორების – თურქეთის, ირანის, რუსეთისა თუ დასავლეთის დიდ დაინტერესებას იწვევს. თითოეულ მათგანს განსხვავებული პოზიციები და ინტერესები გააჩნიათ, რაც თავის მხრივ, ართულებს ხსენებული საკითხის რომელიმე მიმართულებით გადაწყვეტას.

თურქეთი

რეგიონული მოთამაშეებიდან თურქეთი ,,ზანგეზურის დერეფნის" გახსნის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია, რაც განპირობებულია თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ახლო პარტნიორობით. თურქეთი აზერბაიჯანისთვის რეგიონში მთავარი დასაყრდენია, რომლისგანაც ბაქო სისტემატურად იღებს როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დახმარებას. ორ ქვეყანას შორის ახლო პარტნიორობა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან დაიწყო და მომდევნო ათწლეულებშიც გაგრძელდა. ანკარამ არსებითი როლი ითამაშა აზერბაიჯანის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებაში, რამაც ხელი შეუწყო მთიანი ყარაბაღის მეორე და მესამე ომებში აზერბაიჯანის გამარჯვებას. 2021 წელს, ე.წ. შუშას დეკლარაციით, ანკარა და ბაქო ოფიციალურად მოკავშირეებად გამოცხადდნენ (Official Website of the Ministry of Foreign Affairs of Azerbaijan, 2021), ერთმანეთს კი თანამშრომლობის გაძლიერება აღუთქვეს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ, ენერგო, ვაჭრობის, დიასპორისა და მედიის სფეროებში.

იმავე დეკლარაციაში მკაფიოდ არის დაფიქსირებული (Official Website of the Ministry of Foreign Affairs of Azerbaijan, 2021) თურქეთის პოზიცია ,,ზანგეზურის დერეფანზე": ,,მხარეები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთის დამაკავშირებელი კორიდორის გახსნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონებსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, ისევე როგორც ნახიჩევანი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა ორ ქვეყანას შორის

სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირების განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს“.

თურქეთისთვის „ზანგეზურის დერეფნის“ გახსნა მნიშვნელოვანია, რათა ანკარასა და ბაქოს შორის გაჩნდეს პირდაპირი და შეუფერხებელი სახმელეთო კორიდორი. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს მათ თანამშრომლობას და გაზრდის თურქეთის მხრიდან სამხედრო დახმარების გაწევის შესაძლებლობას. თუმცა, ამასთან ერთად, „ზანგეზურის დერეფანი“ ანკარას სხვა თურქულ სახელმწიფოებთან – თურქმენეთთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან და ყირგიზეთთან დააკავშირებს. თურქეთის ვაჭრობის მინისტრის განცხადებით, (Aghajanova, 2023) „ზანგეზურის დერეფანი“ უზრუნველყოფს თურქული სამყაროს ერთიანობას. ეს კი თანხვედრაში მოდის პან-თურქულ იდეებთან, რომელიც თურქეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

რუსეთი

„ზანგეზურის დერეფნის“ გახსნას ასევე მიესალმება რუსეთი. მოსკოვის პოზიცია, ერთი შეხედვით, მოულოდნელია, რადგანაც ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება რეგიონში მისი მთავარი პარტნიორის – სომხეთის ინტერესებს. თუმცა, ჩანს, რომ რუსეთისათვის მეტად პრიორიტეტულია თურქეთთან პირდაპირი სარკინიგზო კავშირის არსებობა. ოფიციალური ანკარა კვლავაც არ უერთდება დასავლეთის მხრიდან რუსეთისადმი დაწესებულ სანქციებს, „ზანგეზურის დერეფანზე“ გამავალი რკინიგზა კი მოსკოვისათვის დამატებითი სავაჭრო არხია, რომელსაც შეუძლია კრიტიკული როლი ითამაშოს მისი ეკონომიკის გადარჩენასა და გამოცოცხლებაში.

ამასთანავე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთისთვის პროექტი მისასალმებელია მისი როლის გამო, რომელიც, პოტენციურად, თურქეთთან ერთად დერეფნის კონტროლსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოიცავს. 2020 წლის დეკლარაციის (Official Website of the Prime Minister of Armenia, 2023) მიხედვით, დერეფნის კონტროლს ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს რუსეთი, რაც მას აზერბაიჯანსა და სომხეთზე ზეგავლენის დამატებით ინსტრუმენტს მისცემს. ამგვარი ბერკეტი, განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება სომხეთის „დასამორჩილებლად“ გამოდგეს. რუსეთსა და სომხეთის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას შორის არსებული დაძაბულობისა და დისტანცირების ფონზე, საჭიროების შემთხვევაში, მას მეტი საშუალება ექნება „დასაჯოს“ ერევანი, რომლის მანევრირების არეალი, ირანთან საზღვრის დაკარგვით კიდევ უფრო შეიზღუდება.

ირანი

თურქეთისა და რუსეთისგან განსხვავებით, „ზანგეზურის დერეფნის“ პროექტს კატეგორიულად ეწინააღმდეგება ირანის ისლამური რესპუბლიკა. ოფიციალურმა თეირანმა არაერთხელ დააფიქსირა საკითხთან დაკავშირებით მწვავე პოზიცია და აღნიშნა, რომ რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებები და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მიუღებელია. ირანის თავდაცვის მინისტრის, რეზა აშტიანის 20 სექტემბრის განცხადებით, (რადიო თავისუფლება, 20 სექტემბერი) კავკასიის რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ირანისთვის ე.წ. „წითელი ხაზია“. საკუთარი პოზიციის კვალდაკვალ, 2022 წლის ოქტომბერში, ირანმა სომხეთის სამხრეთ რეგიონ სიუნიქში საკონსულო გახსნა, (Motamedi, 2023) რითაც თეირანმა მეზობლებს მიანიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის აღნიშნული საკითხი.

ირანის ამგვარი პოზიცია, ერთი მხრივ, თეირანსა და ბაქოს შორის არსებული მრავალწლიანი დაძაბულობით არის განპირობებული. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს გარკვეული ციკლურობა ახასიათებს, გამწვავებებისა და დათბობების ფაზებით. დაძაბულობამ პიკს 2021 და 2022 წლებში მიაღწია, როდესაც თეირანმა აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები ჩაატარა (პერტაია, 2023). რეგიონში აზერბაიჯანის გაძლიერებას ირანი გარკვეული შიშით უყურებს, ვინაიდან მისი ჩრდილოეთ ნაწილი ეთნიკური აზერბაიჯანელებით არის დასახლებული (სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 6-დან 10 მლნ-მდე) (პერტაია, 2023). ბაქოს მიერ ტერიტორიების დამატებასა და ირანთან სასაზღვრო ზონის გაფართოებას თეირანი რისკის შემცველად აღიქვამს. ამასთანავე, თეირანის წინააღმდეგობა აიხსნება ირანსა და თურქეთს შორის არსებული მრავალსაუკონოვანი ისტორიული დაპირისპირებით. ირანისთვის მიუღებელია „ზანგეზურის დერეფნის“ შემოთავაზებული ფორმით ამოქმედება, ვინაიდან ის საგრძნობლად გააძლიერებს რეგიონში თურქეთის პოზიციებს.

დასავლეთი

საინტერესოა, რომ ირანი ოფიციალურ განცხადებებში „ზანგეზურის დერეფნის“ პროექტს ნატოს დასაყრდენადაც მოიხსენიებს, (ბარამიძე, 2023) მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში, ირანის მსგავსად, ეწინააღმდეგებიან პროექტის განხორციელებას და მკაფიოდ უჭერენ მხარს სომხეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. თეირანის კვალდაკვალ, საფრანგეთმა, რომელთანაც სომხეთს განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებს, მიიღო გადაწყვეტილება (civilnet, სექტემბერი, 2023) სიუნიქის რეგიონში საკონსულოს გახსნის შესახებ. დასავლეთი, მათ შორის ევროკავშირი, ცდილობს ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და ჩართულია სამშვიდობო შეთანხმების

მოლაპარაკებების პროცესში. სომხეთი ევროკავშირის მიერ ინიციირებულ მოლაპარაკებებს მიესალმება და შეხვედრებში მონაწილეობის მუდმივი მზადყოფნა ადასტურებს. თუმცა, ამ მცდელობებს ჯერ-ჯერობით ნაკლებად მოაქვთ შედეგი, (Poghosyan, 2023) რაც გარკვეულწილად რეგიონში დასავლეთის შედარებით სუსტი პოზიციებით აიხსნება. განსხვავებით სხვა მოთამაშეებისგან, დასავლეთს, მათ შორის აშშ-სა და საფრანგეთს, ნაკლებად აქვთ პროცესზე ზემოქმედების საკმარისი ბერკეტები.

მოვლენათა დინამიკა და განვითარების შესაძლო სცენარები

ვინაიდან „ზანგეზურის დერეფნის“ საკითხის სათავისოდ გადაწყვეტა რეგიონის მოთამაშეების მაღალი ინტერესის სფეროს წარმოადგენს და რადგანაც მოთამაშეები პერიოდულად ავლენენ არსებული პრობლემის სამხედრო გზით მოგვარების მზაობას, არსებობს ვითარების ესკალაციის რისკი. ამაზე მიანიშნებს ჟურნალ პოლიტიკოს მიერ მიმდინარე წლის ოქტომბერში გავრცელებული ცნობები, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის კონგრესმენებისადმი გაკეთებული გაფრთხილების შესახებ, რომლის მიხედვითაც შესაძლოა აზერბაიჯანი სომხეთში შეიჭრას (Bazail-Eimi, Eric and Gabriel Gavin, 2023).

თუმცა, თუ მოვლენების დინამიკას დავაკვირდებით, პოზიტიურ ტენდენციას შევამჩნევთ. მაგალითად, ოფიციალური ბაქოს რიტორიკაში შერბილება შეინიშნება: თუ გარკვეულ ეტაპზე აზერბაიჯანი „ზანგეზურის დერეფნის“ იძულებით გაყვანაზე საუბრობდა, უკანასკნელ ხანებში, ოფიციალურ განცხადებებში ბაქო ხელახალი ომის დაწყების სურვილს უარყოფს, (Hasanly, 2023). ბოლო დროს აქცენტი უფრო მეტად ირანის ტერიტორიაზე ალტერნატიული მაგისტრალის გაყვანაზე კეთდება. სავარაუდოდ, ბაქო ცდილობს ერევანს მიანიშნოს, რომ თუ ის არ დათანხმდება ,,ზანგეზურის დერეფნის” შემოთავაზებულ პროექტს, საზღვრები არ გაიხსნება და გაგრძელდება სომხეთის იზოლაცია. პოზიტიური დინამიკის მანიშნებელია 2023 წლის 7 დეკემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სომხეთის პრემიერ მინისტრის ოფისის ერთობლივი განცხადებაც, (Azertac, 8 დეკემბერი, 2023) რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმდებიან სამხედრო ტყვეების გათავისუფლებაზე, რიგ საერთაშორისო ფორმატში ერთმანეთის მხარდაჭერასა და ნდობის აღდგენის პროცესის გაგრძელებაზე.

რეგიონის გეოპოლიტიკის ცვალებადი და რთული ხასიათიდან გამომდინარე, მოვლენათა განვითარების ჯაჭვის პროგნოზირება ძალიან რთულია. თუმცა, მხარეთა განცხადებების, გადადგმული ნაბიჯებისა და მკაფიოდ გამოკვეთილი ინტერესების შესაბამისად, განსაკუთრებით ირანის მიერ გამოვლენილი მტკიცე პოზიციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ,,ზანგეზურის დერეფნის” გახსნის მიზნით საომარი მოქმედებები ახლო მომავალში არ განახლდება. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აზერბაიჯანმა, თუნდაც თურქეთის მხარდაჭერითა თუ მონაწილეობით გარისკოს ირანთან ომში ჩაბმა. ამასთან,

საომარი მოქმედებების განახლების ერთ-ერთი დამატებითი შემაკავებელი ფაქტორი შეიძლება დასავლეთის პოტენციური მწვავე რეაქცია იყოს. არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ბაქო არ წავა დასავლეთთან ურთიერთობების გამწვავებაზე. თავის მხრივ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ოფიციალური ერევანი დათანხმდეს ,,ზანგეზურის დერეფნის" შემოთავაზებულ პროექტს, ვინაიდან, გრძელვადიან პერსპექტივაში ამით რისკის ქვეშ დადგება მისი სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა.

მნიშვნელოვანია, რომ 2023 წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ, აზერბაიჯანი, თურქეთთან ერთად, გამარჯვებულის პოზიციაშია. მკაფიოდ გამოხატულია ბაქოს სურვილი, ისარგებლოს მომენტით და ახალი მოცემულობა მაქსიმალურად გამოიყენოს, რის გამოვლინებაცაა „ზანგეზურის დერეფნის" ინიციატივა. თუმცა, ზემოთ განხილული რისკების გათვალისწინებით, შესაძლოა, ანკარასა და ბაქოში კიდევ უფრო ხელსაყრელ მომენტს დაელოდონ. ალტერნატიულად, იქიდან გამომდინარე, რომ სომხეთის საზღვრების გახსნა, ოფიციალური ერევნის შემოთავაზებული პირობებითაც (Barseghyan, 2023) აზერბაიჯანისთვის გარკვეული სარგებლის მომტანია (გაამარტივებს მის ანკლავთან დაკავშირებას), გამორიცხული არ არის, ბაქო დათმობაზე წავიდეს და დასჯერდეს შედარებით მცირეს, მაგრამ მაინც არსებულზე უკეთესს. გადამწყვეტი იქნება ის, თუ როგორ შეაფასებენ მოცემულ სიტუაციას ბაქოსა და ანკარაში.

გავლენა საქართველოზე და სამომავლო პერსპექტივები

,,ზანგეზურის დერეფნის" საკითხი და რეგიონში მიმდინარე სხვა გეოპოლიტიკური პროცესები არსებით ზეგავლენას ახდენს საქართველოზე, მათ შორის მის უსაფრთხოებაზე, განვითარების პერსპექტივებსა და სატრანზიტო ფუნქციაზე. სომხეთში ჩაკეტილი საზღვრების [თურქეთთან და აზერბაიჯანთან] პირობებში, საქართველო, რეგიონში ეგრეთ წოდებული „შუა დერეფნის" ერთადერთ დამაკავშირებელ გზას წარმოადგენს. საქართველოს მეშვეობით ხდება როგორც თურქეთისა და აზერბაიჯანის სახმელეთო გზით დაკავშირება, ასევე ჩინეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი მარშრუტის შეკვრა. აღსანიშნავია, რომ ,,შუა დერეფნის" აქტუალიზაციასთან ერთად, განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ერთი-ორად გაიზარდა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი.

ამგვარი უპირატესობა შესაძლოა სამხრეთ კავკასიაში სხვა სატრანზიტო გზების ამოქმედებით შესუსტდეს. „ზანგეზურის დერეფნის" სრულმასშტაბიანი განხორციელების, ისევე როგორც სომხეთში ჩაკეტილი სასაზღვრო გამშვები პუნქტების გახსნის შემთხვევაში, საქართველო დაკარგავს ექსკლუზიურ პოზიციას და აღარ იქნება სამხრეთ კავკასიის კონკრეტულ მონაკვეთზე „შუა დერეფნის" ერთადერთი გამტარი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს სატრანზიტო როლი შემცირდება.

თუმცა, საკამათოა ის, თუ რეალურად რამდენად რისკის შემცველია თბილისისთვის სომხეთის ე.წ. „განბლოკვა“. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო კვლავ შეინარჩუნებს ,,შუა დერეფნის“ მნიშვნელოვანი კვანძის ფუნქციას შავ ზღვაზე არსებული გასასვლელის ხარჯზე. ქვეყანაზე გამავალი სატრანსპორტო გზა დასავლეთსა და ევროპას შორის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმოკლეს მარშრუტად დარჩება. ამასთან, სომხეთის სატრანზიტო პოტენციალის ამოქმედებამ, შესაძლოა, ბიძგი მისცეს „შუა დერეფნის“ კიდევ უფრო მეტ აქტუალიზაციას, მისდამი ინტერესის ზრდას, ინვესტიციების მოზიდვასა და ტვირთების ამ მიმართულებით გადმონაცვლებას, რაც დატვირთავს როგორც სომხეთზე ისე საქართველოზე გამავალ მარშრუტებს. ამით, ერთი მხრივ, გაიზრდება რეგიონის გეოეკონომიკური მნიშვნელობა და მისი წილი მსოფლიოს სავაჭრო გადაზიდვებში, მეორე მხრივ კი გაუმჯობესდება თითოეული სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა.

გადამწყვეტი იქნება ის, თუ როგორი წესრიგი ჩამოყალიბდება და რამდენად შეძლებენ რეგიონის სახელმწიფოები ყველასთვის მეტ-ნაკლებად მისაღები შეთანხმების მიღწევას. ,,ზანგეზურის დერეფნის“ შემოთავაზებული მოდელით განხორციელება, ოფიციალურ ერევანს რიგ ტერიტორიებზე კონტროლს დააკარგინებს და არახელსაყრელ პოზიციაში ჩააყენებს. მოვლენათა ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ სომხეთი არ შეეგუება დამდგარ სტატუს კვოს და მომავალში, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური პირობების დადგომასთან ერთად შეეცდება არსებული წესრიგის გადასინჯვას. ეს კი რეგიონის სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების მორიგ რაუნდს გამოიწვევს. რეგიონის აქტორები გააგრძელებენ ნულოვან-ჯამიანი თამაშის პრინციპებით მოქმედებას, მშვიდობა კი კვლავაც მყიფე დარჩება.

ამის საპირისპიროდ, რეგიონის თითოეული ქვეყნისათვის საზღვრების მისაღები პირობებით გახსნა და სატრანსპორტო დერეფნების ეფექტური ამოქმედება გაუჩენს მათ ახალი სტატუს კვოს შენარჩუნების გრძელვადიან ინტერესს და გაზრდის მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას. როგორც ევროკავშირის ექსპერიმენტი გვაჩვენებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ძლიერ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას შეუძლია მეზობელ ქვეყნებს შორის ისტორიული დაპირისპირება და არსებული ნულოვან-ჯამიანი შეჯიბრი ყველასთვის მომგებიან თამაშად აქციოს.

იმის გათვალისწინებით, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აღარ წარმოადგენს სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების შემაფერხებელ ფაქტორს, რეგიონის სახელმწიფოებს დღეს აქვთ ისტორიული შესაძლებლობა ხელი შეუწყონ კონფლიქტის ამოწურვას. საზღვრების მეტ-ნაკლებად მისაღები პირობებით გახსნის შემთხვევაში, საფუძველი ჩაეყრება გრძელვადიან და სტაბილურ მშვიდობას, სამხრეთ კავკასიას კი, როგორც ერთიან რეგიონს, უკეთ შეეძლება საკუთარი სატრანზიტო პოტენციალის ათვისება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარამიძე, გივი, „ირანის პრეზიდენტი - ზანგეზურის დერეფანი იქნება ნატო-ს დასაყრდენი, ეროვნული ესაფრთხოების საფრთხე რეგიონის ქვეყნებისთვის და ირანი ამას მტკიცედ ეწინააღმდეგება", პირველი არხი, 23 მაისი, 2023 https://1tv.ge/news/iranis-prezident%E2%80%8Bi-zangezuris-derefani-iqneba-nato-s-dasayrdeni-erovnuli-usafrtkhoebis-safrtkhe-regionis-qveynebistvis-da-irani-amas-mtkiced-ewinaaghmdegeba/

ბარამიძე, გივი, ,,რეგიონში მშვიდობა ნიშნავს თურქეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის მოგვარებას", პირველი არხი, 18 აპრილი, 2023 https://1tv.ge/news/nikol-fashiniani-regionshi-mshvidoba-nishnavs-turqettan-da-azerbaijantan-urtiertobebis-moqvarebas/

თორაძე, სალომე, „ნიკოლ ფაშინიანი - გარკვეული ძალები სომხეთის ომში ჩართვას ცდილობენ, ჩვენ არ უნდა მივცეთ შესაძლებლობა არც შიდა და არც გარე ძალებს, სომხეთის სახელმწიფოებრიობა დარტყმის ქვეშ დააყენონ", პირველი არხი, 19 სექტემბერი, 2023, https://1tv.ge/news/nikol-fashiniani-garkveuli-dzalebii-somkhetis-omshi-chartvas-cdiloben-chven-ar-unda-mivcet-shesadzlebloba-arc-shida-da-arc-gare-dzalebs-somkhetis-sakhelmwifoebrioba-dartymis-qvesh-daayenon/

ოთხმეზერი, ლაშა, „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი: აქტი პირველი. ბერლინი-ვარშავა", რადიო თავისუფლება, 15 აგვისტო, 2019, https://www.radiotavisupleba.ge/a/მოლოტოვ-რიბენტროპის-პაქტი/30111349.html

პერტაია, ლეკა, „ბაქო-თეირანი: დაძაბულობა მწვავდება და აი, რატომ", 1 თებერვალი, 2023, https://www.radiotavisupleba.ge/a/ბაქო-თეირანი-დაძაბულობა-მწვავდება-და-აი-რატომ/32250444.html

რადიო თავისუფლება, ,,ყარაბაღელი სომხები ცეცხლის შეწყვეტის პირობებს დასთანხმდნენ", 20 სექტემბერი, 2023 https://www.radiotavisupleba.ge/a/32600995.html

რადიო თავისუფლება, „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა არსებობას 1 იანვრიდან შეწყვეტს", 28 სექტემბერი, 2023 https://www.radiotavisupleba.ge/a/32613776.html

რადიო თავისუფლება, „ირანის თავდაცვის მინისტრი: კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ირანის ერთ-ერთი „წითელი ხაზია" ", 20 სექტემბერი, https://www.radiotavisupleba.ge/a/32601533.html

Aghajanova, Humay, "Launching Zangezur corridor will fix integrity of Turkic world - Turkish Trade Minister", Trend News Agency, September 15, 2023 https://en.trend.az/azerbaijan/business/3797793.html

Avetisyan, Ani, "Aliyev threatens to establish 'corridor' in Armenia by force", OC Media, 21 April 2021, https://oc-media.org/aliyev-threatens-to-establish-corridor-in-armenia-by-force/

Azertec, "Joint statement of the Presidential Administration of the Republic of Azerbaijan and the Office of the Prime Minister of the Republic of Armenia", December 7, 2023 https://azertag.az/en/xeber/joint_statement_of_the_presidential_administration_of_the_republic_of_azerbaijan_and_the_office_of_the_prime_minister_of_the_republic_of_armenia-2844029?fbclid=IwAR0lsijJzOZv5MzuCZhl9c-mDBvX0Yh_biy8F_KZ5Y5Sog6g2NQpUVjE07k

Barseghyan, Arshaluys, "Armenia proposes opening regional transport links as part of 'Crossroads of Peace' " OC Media October 27, 2023, https://oc-media.org/armenia-proposes-opening-regional-transport-links-as-part-of-crossroads-of-peace/

Bazail-Eimi, Eric and Gabriel Gavin. "Blinken warned lawmakers Azerbaijan may invade Armenia in coming weeks", Politico, October 13, 2023, https://www.politico.com/news/2023/10/13/blinken-warned-lawmakers-azerbaijan-may-invade-armenia-in-coming-weeks-00121500?fbclid=IwAR1DytXvxU41Sy2rPQCfE7AebfAlMG1i_LO_O9SsHHVO5ws-m5jUyUg_vWs

CivilNet, "France to open consulate in Armenia's Syunik region", September 27, 2023, https://www.civilnet.am/en/news/752403/france-to-open-consulate-in-armenias-syunik-region/

Gjevori, Elis, "Iran: What are the implications of Azerbaijan's victory over Armenia?", Middle East Eye, October 2023, https://www.middleeasteye.net/news/iran-azerbaijan-victory-over-armenia-implications

Hasanly, Sayad, "Ambassador: 'There is no more stupid prophecy than saying that Azerbaijan will go to war for Zangazur Corridor' ", Report News Agency, November 23, 2023, https://report.az/en/foreign-politics/ambassador-there-is-no-more-stupid-prophecy-than-saying-that-azerbaijan-will-go-to-war-for-zangazur-corridor/

Kucera, Joshua "As Armenia And Azerbaijan Seek Peace, Proposed Zangezur Corridor Could Be Major Sticking Point", Radio Free Europe Radio Liberty, September 27, 2023, https://www.rferl.org/a/azerbaijan-armenia-negotiations-zangezur-corridor/32613002.html

Motamedi, Maziar, "Iran opens consulate in Armenia's Kapan as it expands ties", Al Jazeera, October 22, https://www.aljazeera.com/news/2022/10/22/iran-opens-consulate-in-armenias-kapan-to-deliver-a-message

Official Website of the President of Azerbaijan, "Ilham Aliyev was interviewed by local TV channels", 10 January, 2023, https://president.az/en/articles/view/58555

Official Website of the Prime Minister of Armenia, "Statement by the Prime Minister of the Republic of Armenia, the President of the Republic of Azerbaijan and the President of the Russian Federation", November 10, 2020, https://www.primeminister.am/en/press-release/item/2020/11/10/Announcement/

Official Website of the Ministry of Foreign Affairs of Azerbaijan, "Shusha Declaration on Allied Relations between the Republic of Azerbaijan and the Republic of Turkey", June 21, https://coe.mfa.gov.az/en/news/3509/shusha-declaration-on-allied-relations-between-the-republic-of-azerbaijan-and-the-republic-of-turkey

Ohanyan, Anna, "Azerbaijan's Armenian 'Corridor' Is a Challenge to the Global Rules-Based Order", Foreign Policy, November 2, https://foreignpolicy.com/2023/11/02/azerbaijan-armenia-zangezur-corridor/

Ritter, Scott, "The Zangezur Corridor: A Pathway for Prosperity or to War?", Energy Intelligence, October 16, 2023, https://www.energyintel.com/0000018b-37c7-d20c-a9ef-bfdf44760000

Scollon, Michael, "Iran's Relations With Azerbaijan Get Heated Over Attacks, Baku's Ties To Israel", Radio Free Europe Radio Liberty, June 8, 2023, https://www.rferl.org/a/iran-azerbaijan-fraying-relations/32450502.html

Poghosyan, Benyamin, "Opinion: Armenia-Azerbaijan negotiations are at a crossroad", commonspace.eu, 10 November, 2023, https://www.commonspace.eu/node/12458

Jam News, "Yerevan and Baku far from agreement: latest statements by Pashinyan and Aliyev", 11 November, 2023 https://jam-news.net/aliyev-and-pashinyan-on-the-zangezur-corridor/

Vestnik Kavkaza, "Baku: we cannot wait for Armenia, Zangezur corridor goes through Iran" November 21, 2023, https://en.vestikavkaza.ru/news/Baku-we-cannot-wait-for-Armenia-Zangezur-corridor-goes-through-Iran.html